



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N71

2013 წლის 6 ნოემბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მოსამზადებელ დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 9 აგვისტოს №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მოსამზადებელ დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 9 აგვისტოს №52 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა კანდიდატთა ტესტირება და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსის უკეთ ორგანიზებისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარების შემდგომ, ტესტირება - არაუგვიანეს 2013 წლის 30 ნოემბრისა, გასაუბრება - არაუგვიანეს 15 დეკემბრისა, ხოლო კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულ კანდიდატთა გამგებლისათვის დასანიშნად წარდგენა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2013 წლის 20 დეკემბრისა“.

მუხლი 2.

ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გარო საძაგლიშვილი

